ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2325539

ნომერი: AR1359872

თარიღი : 27.11.2015

გაცემის თარიღი : 04.12.2015

გაცნობის თარიღი : 04.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის , ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი N11/11) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემურ კოვზირიძე პ/ნ 01024002863
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 26 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51–ე, 52–ე, 96–ე, მე–100 მუხლების, VI თავის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2 და მე–3 მუხლების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1359872 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძე–ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ,ქალაქ თბილისში,ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის,ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ,(ნაკვეთი N#11/11) მიწის ნაკვეთის ( საკად.კოდი: 01.10.18.011.011) საზღვრების კორექტირებას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის, საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძე–ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ,ქალაქ თბილისში,ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის,ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ,(ნაკვეთი N#11/11) მიწის ნაკვეთის (საკად.კოდი: 01.10.18.011.011) საზღვრების გეგმის კორექტირება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია (იხ. დანართი). ვინაიდან ცვლილების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა სცილდება სამსახურის კომპეტენციას, თანდართული ესკიზის მიხედვით ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე შემდგომში უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.